მორალური მოძველების გლობალური პრობლემა და ინვესტიციების როლი მის გადაჭრაში

რევაზ შენგელია *- ედ, სტუ სრული პროფესორი, ჟურნალ „ეკონომიკის“ მთ. რედაქტორი*
ჟუჟუნა წიკლაური*-შენგელია -ედ, სტუ-ს სრული პროფესორი*
ნათია შენგელია*- ედ, სტუ-ს პროფესორი*

რეზიუმე

მორალური მოძველების დროს, განსხვავებით ფიზიკური გაცვეთისაგან, ადგილი აქვს ფორმასა და შინაარსს შორის წინააღმდეგობას. მოცემული ტექნიკის ფორმის შეუცვლელად მისი შინაარსი იცვლება.

ტექნიკის მორალური მოძველების მსგავსად, სტატიაში გაანალიზებულია მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების ფორმები. ავტორთა აზრით, მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების ორ ფორმასთან ერთად, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოიშობა სრულიად ახალი მესამე ფორმა - სოციალურად უარგისობა ზოგიერთი იმ მეცნიერული შედეგებისა, რომელთა გამოყენება საქმიანობის სოციალური მიზნის ფილოსოფიიდან გამომდინარე, წარმოების მიზნის შესაბამისი ახალი ტექნიკის შექმნისა და არსებულის სრულყოფისათვის არაეფექტიანი ხდება ახალ მეცნიერულ-ტექნიკურ ცოდნასთან შედარებით, რომელსაც საზოგადოება ფლობს. მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების ეს ფორმა, როგორც ტექნიკის მორალური მოძველების მესამე სოციალური ფორმა, გვევლინება სპეციფიკურდ მხოლოდ სოციალურად ორიენტირებული, ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკისათვის, ვინაიდან წმინდა კაპიტალიზმის პირობებში არ შეიძლება მოძველდეს (ე.ი. გახდეს ზედმეტი) მორალურად ის მეცნიერულ-ტექნიკური გადაწყვეტილება, რომელთა გამოყენებას მოაქვს უზარმაზარი მოგება შრომის ინტენსივობის დაჩქარებისა და მისი პირობების გაუარესების გამო .

სტატიაში მოცემულია რეკომენდაციები, ასევე დასახულია გზები მორალური მოძველების, კერძოდ კი „მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების“ სავარაუდო უარყოფითი შედეგების ასაცილებლად. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ინვესტიციების მნიშვნელობის ანალიზს მორალური მოძველების გლობალური პრობლემის მოგვარებაში.

საკვანძო სიტყვები : გლობალიზაცია, ეკონომიკური განვითარება, ინვესტიციები, ცოდნის მორალური მოძველება, კონკურენტუნარიანობა, მორალური მოძველების ფორმები.

Summary

While getting outdated morally, differing from physical deterioration , a resistance between the form and content can take place. The content of the given equipment changes without modifying its form. Like getting the technologies morally outdated, there are analyzed the morally outdated forms of scientific-technical knowledge in the article. According to the authors' opinion, with those two morally outdated forms of scientific-technical knowledge there arises a completely new third form in the conditions of socially-oriented market economy. The third form-Socially Unusefullness - of some scientific results which usage if considering the philosophy of social purpose of activity- creating a new technology and improving the existing one accordingly to the aim of manufacturing , it is becoming ineffective comparing with the new scientific-technical knowledge, that the society have. This morally outdated form of scientific-technical knowledge, as the third social form arises only specifically in socially-oriented civilized market economy. As in the net capitalism conditions it cannot be outdated morally (thus to become excessive) that scientific-technical decision , which usage earns a huge profit from accelerating the work process intensively and deteriorating its conditions.

Some recommendations are given in the article, also there are set the ways for avoiding the probable negative results of getting morally outdated , especially "getting the scientific-technical knowledge morally outdated ". A special attention is paid to the analyze of the importance of investments in solving the global problem.

მორალური მოძველების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში. გლობალიზაციის დროს სულ უფრო აქტიურდება ცოდნა, მათ შორის ეკონომიკური აზროვნება, რაც სრულიად ლოგიკურია, რამდენადაც მომსახურებისა და საქონლის „წარმოება-განაწილება-გაცვლა-მოხმარების“ პროცესში ჩართულია მეცნიერების თითქმის ყველა დარგი (პირდაპირ თუ ირიბად). ამიტომ, ბუნებრივია, განვითარება და პროგრესი წარმოუდგენელია თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ტექნიკის, მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის გარეშე. ასეთი წინსვლის ინტელექტუალური რესურსი, უზარმაზარი ენერგია კი სწორედ სამეცნიერო,სასწავლო დაწესებულებებში, განსაკუთრებით კი უმაღლეს სასწავლებლებშია თავმოყრილი (იხ. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, №6, 2012 წ., გვ.12.).

პრობლემის არატრადიციული მიდგომით ანალიზი გვავალდებულებს მორალური მოძველება განვიხილოთ არა მხოლოდ პროცესის, არამედ შედეგის თვალსაზიერით, კერძოდ, თუ რა გავლენას ახდენს ის ცხოვრების დონის ამაღლებაზე, მოსახლეობის შემოსავლების გადიდებაზე, კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ა.შ. და თუ ეს ასე არ ხდება, მაშინ მორალური მოძველება ვერ ჩაითვლება დადებით მოვლენად, ვერ გახდება ისევ ახალი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების წყარო და არ იქნება სოციალურად ორიენტირებული.

საერთოდ ცნობილია, რომ მორალური მოძველების დროს (მაგალითად, ტექნიკის გაუფასურებისას) განსხვავებით ფიზიკური გაცვეთისაგან, ადგილი აქვს ფორმასა და შინაარსს შორის წინააღმდეგობას. მოცემული ტექნიკის ფორმის შეუცვლელად მისი შინაარსი იცვლება, რამდენადაც იგივე კონსტრუქციის ტექნიკის კვლავწარმოება უფრო იაფი ხდება (პირველი ფორმა), ანდა მასთან კონკურენციას იწყებს - უფრო მწარმოებლური, უკეთესი ტექნიკა (მეორე ფორმა), ან თუნდაც ნაკლებ მწარმოებლური, შესაძლოა უფრო ძვირიც, მაგრამ სოციალურად ვარგისი, ეფექტიანი ტექნიკა, რომელსაც ჩვენ პირობითად ვუწოდებთ მესამე ფორმას (იხ:. ჟურნ. „ეკონომიკა“, №3, 1982 წ., გვ. 35.).

მსგავსად ტექნიკის, ტექნოლოგიის მორალური მოძველებისა, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების პრობლემის დამუშავება. ამ მიმართულებით წინამდებარე სტატიაში გვინდა ყურადღება გავამახვილოთ რიგ არსებით მომენტებზე: ჯერ ერთი, ტექნიკის მორალური მოძველების მსგავსად, შესაძლოა პირობითად გამოიყოს მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების სამი ფორმა: პირველი ფორმა დაკავშირებულია კვლევის განმეორებადი ოპერაციების შესრულების მეთოდების გაუმჯობესების შედეგად მეცნიერული შედეგების მიღების გაიაფებასთან. ეს ფორმა დაკავშირებულია ერთიდაიგივე ინფორმაციის მიღების კვლავწარმოების გაიაფებასთან;

მეორე ფორმა დაკავშირებულია ახალი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის, ან ახალი გადაწყვეტილების გამოჩენასთან, რომელთა გამოყენება იწვევს პრინციპულად ახალ შედეგებს, რის გამოც ძველი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა, შესაბამისად, ტექნიკაც, რომელშიც დაფიქსირებულია ეს ცოდნა, ეკონომიკური თვალსაზრისით არაეფექტიანი ხდება.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების ორ ფორმასთან ერთად, ჩვენი აზრით, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოიშობა სრულიდ ახალი მესამე ფორმა - სოციალურად უარგისობა ზოგიერთი იმ მეცნიერული შედეგებისა, რომელთა გამოყენება საქმიანობის სოციალური მიზნის ფილოსოფიიდან გამომდინარე, წარმოების მიზნის შესაბამისი ახალი ტექნიკის შექმნისა და არსებულის სრულყოფისათვის არაეფექტიანი ხდება ახალ მეცნიერულ-ტექნიკურ ცოდნასთან შედარებით, რომელსაც საზოგადოება ფლობს. მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების ეს ფორმა, როგორც ტექნიკის მორალური მოძველების მესამე სოციალური ფორმა, გვევლინება სპეციფიკურდ მხოლოდ სოციალურად ორიენტირებული, ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკისათვის, ვინაიდან წმინდა კაპიტალიზმის პირობებში არ შეიძლება მოძველდეს (ე.ი.გახდეს ზედმეტი) მორალურად ის მეცნიერულ-ტექნიკური გადაწყვეტილება, რომელთა გამოყენებას მოაქვს უზარმაზარი მოგება შრომის ინტენსივობის დაჩქარებისა და მისი პირობების გაუარესების გამო (განსაკუთრებით რელიეფურად ეს ვლინდება იმაში, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგები კაპიტალიზმის პირობებში ყოველთვის გამოიყენებოდა ისეთ დარგებში, რომლებიც იძლევიან ძალიან დიდ მოგებას. ესაა, პირველ რიგში, ისეთი დარგები, როგორიცაა სამხედრო მრეწველობა, ნარკოტიკების იატაკქვეშა დამზადება, გასართობი ინდუსტრიის დარგები, რომლებიც ადამიანის ყველაზე მდაბიო მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ).

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების და მისი გამოვლენის ფორმების ანალიზს გააჩნია ის სპეციფიკაც, რომ მათი გათვალისწინებამ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივი შრომის იმ დანაკარგების დროულ აღმოფხვრას, რომლებიც წარმოიშობიან მორალურად მოძველებული ტექნიკის ფუნქციონირების, მოძველებული

ცოდნის, სწავლების მეთოდების, ხერხების გამოყენების დროს. იმისათვის, რომ საზოგადოების, საწარმოს, კომპანიის დანაკარგი ასეთი ცოდნის პირობებში, ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენების პირობებში კიდევ არ გაიზარდოს, საჭიროა არსებული მეცნიერულ-ტეცნიკური ცოდნის ეფექტიანად ფუნქციონირების პერიოდი შეესაბამებოდეს უახლესი, უფრო სრულყოფილი ცოდნის გამოჩენის ტემპებს. ამ გაგებით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მაგალითად, მოსწავლეებისათვის, სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემა მოძველებული ხერხებით, მეთოდებით. ეს საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას, ვინაიდან ეს გამოიწვევდა სუბიექტური ხასიათის პირდაპირ დანაკარგებს. უფრო მეტიც, ეს იგივეა რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგების უარყოფა, მისი დანერგვის უგულვებელყოფა.

სიტყვა მოძველება საერთოდ ხომ დრომოჭმულს, ვადაგასულს, ღირებულება დაკარგულს ნიშნავს და ნეგატიურ მოვლენად ითვლება, ხოლო ტერმინი„მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველება'' კი დროს ჩამორჩენილ, თანამედრვე სამყაროს და განვითარებულ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ტექნოლოგიებს ვერაყოლილ მოვლენად წარმოგვიდგენია. ნათელია, რომ მოძველებული ნივთი, მექანიზმი და ა.შ. ვერ იმუშავებს უკეთესად თანამდროვე და განახლებულ ანალოგიებთან შედარებით. ამიტომაც, აუცილებელია, მისი შეცვლა, განახლება, გაუმჯობესება, ხოლო თუ ადამიანის ცოდნაზეა ლაპარაკი, მაშინ საჭიროა მისი გადამზადება, რათა ის მოერგოს თანამედროვე სამყაროს გაზრდილ მოთხოვნებსა და აჰყვეს სამყაროს სწრაფვას გაუმჯობესებისკენ. კომპანია, რომელიც ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნებს, ვერ იმუშავებს ეფექტიანად, ვერ იქნება კონკურენტუნარიანი და, ამდენად, ვერ იქნება განვითარებული, ანუ მომგებიანი. ტექნიკა, ტექნოლოგია, რომელიც მორალურად მოძველდა, ვერ უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნას. ასევეა ადამიანებიც, განსაკუთრებით პედაგოგები(მაგალითად, მორალურად მოძველებული მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მქონე მასწავლებელი ვერ შექმნის (აღზრდის) თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის პროდუქციას (მოსწავლეს, სტუდენტს). მათთვისაც აუცილებელია მოერგონ დროს და აჰყვნენ თანამედროვე სამყაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ცოდნა განიცდის„მორალურ მოძველებას" - მათი თეორიული და პრაკტიკული მიღწევები აღარ შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნებს. ადამიანი შეიძლება ფიზიკურად კარგად გამოიყურებოდეს, მაგრამ მორალურად უკვე ვეღარ აკმაყოფილებდეს მოცემული დროისთვის არსებულ მოთხოვნებს. ამ პიროვნების მიერ, ცხოვრების განმავლობაში შეძენილმა ცოდნამ უკვე ამოწურა თავისი ზღვრული სარგებლიანობა და „მორალური მოძველების" პროცესს განიცდის, ეს კი, როგორც კონკრეტული ადამიანისთვის, ასევე ქვეყნისთვისაც პრობლემას ქმნის იმ თვალსაზრისით, რომ, ერთი მხრივ, ის ვერ გამოიყენებს ტექნიკური პროგრესით მიღწეულ შედეგებს და, მაშასადამე, ვერ იქნება უზრუნველყოფილი სამუშაო ადგილით და, მეორე მხრივ, ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს საკუთარი ეკონომიკური, სოციალური, ტექნიკური და ა.შ. მაჩვენებლებით.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველება აზარალებს პირველ რიგში საწარმოს, ორგანიზაციას, აუარესებს სახელმწიფო იმიჯს საერთაშორისო დონეზე, სახელმწიფოში წარმოქმნის ისეთ პრობლემებს, როგორიცაა სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ა.შ. ასევე შესაძლებელია გამოიწვიოს ისეთი პრობლემაც, როგორიცაა ნეპოტიზმი, სამართლებრივი, პოლიტიკური არასტაბილურობა და ბევრი სხვა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ.

იბადება კითხვა: რა არის საჭირო იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული მორალური მოძველების, კერძოდ კი „მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების" სავარაუდო შედეგები?

საქართველო მდიდარია ნიჭიერი, მაღალი დონის მეცნიერთა პლეადებით.ისინი არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს წამყვან ინსტიტუტებში წარმატებით მოღვაწეობენ. რად ღირს მარტო ის, რომ ევროპაში შექმნილ საერთაშორისო უნივერსიტეტში წამყვანი განყოფილებები დაკომპლექტებულია ქართველ მეცნიერთა მსოფლიოში აღიარებული ჯგუფებით ბატონი დვალის ხელმძღვანელობით. ეს იმედს გვაძლევს, რომ საქართველო მომავალშიც შეძლებს დააკომპლექტოს, მაგალითად, თავისი სამეცნიერო ცენტრები ღირსეული მეცნიერებით, რომლებიც შეძლებენ მსოფლიოს ტექნოლოგიების მცოდნე კადრების მომზადებას. დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობის უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში და აგრეთვე საბავშვო ბაღებშიც კი განათლების, ცოდნის შეძენის საშუალებების მაღალ დონეზე დაყენებას. ამ პრობლემების მოგვარებისათვის საჭიროა რიგი ღონისძიებათა გატარება:

1. მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება შეუძლებელია მაღალი დონის უმაღლეს სასწავლებლების ფუნდამენტური რეფორმირების გარეშე. პირველ რიგში, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მოძველებული განათლების მქონე მომსახურე პერსონალი არ დარჩეს სამუშაო ადგილების გარეშე, რადგან ეს აუცილებლად

გამოიწვევს საზოგადოების დიდი ნაწილის უკმაყოფილებას და ხელისუფლებისადმი უნდობლობის გაჩენას. ამისთვის აუცილებელია პერმანენტულად ხდებოდეს მათი გადამზადება. სახელმწიფომ და პირველ რიგში, ალბათ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, უნდა იზრუნოს გადამზადების თანამედროვე ცენტრების შექმნაზე ქვეყანაში. ეს დაწესებულებები ორიენტირებული იქნება მომსახურე პერსონალის მუდმივ გადამზადებასა და მათი ცოდნის განახლებაზე. გადამზადების ცენტრები მუდმივად მოახდენენ მათთვის ახალი ცოდნის მიღების უზრუნველყოფას, რაც საწარმოებს, კომპანიებს, სასწავლო დაწესებულებებს და ა.შ. აღარ მისცემს იმის საფუძველს, რომ კონკრეტული მომსახურე პერსონალი სამუშაო ადგილის გარეშე დატოვონ და მიზეზად მათი დაბალი კვალიფიკაცია დაასახელონ. ასეთი პროექტის წამოწყება, აამაღლებს როგორც თავად მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციას, ასევე იმ სტუდენტთა კვალიფიკაციას, რომლებიც იღებენ განათლებას უკვე გადამზადებული მასწავლებლებისაგან.

2. ასევე აუცილებელია უცხოური გამოცდილების, ცოდნის გაზიარებაც. ჩვენს ქვეყანაში უნდა ჩამოვიდნენ უცხოელი, კვალიფიციური კადრები, რათა მათ გაუზიარონ საკუთარი ცოდნა ქართველ კოლეგებს. ეს რა თქმა უნდა არ ეხება მხოლოდ სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლებსა და ლექტორებს, ასეთი ქმედება უნდა განხორციელდეს ყველა სახის საწარმოსა თუ სხვა დაწესებულებაში, რადგან ქვეყნის განვითარებისთვის არა მხოლოდ განათლების სფეროს, არამედ ბევრი სხვა სფეროს განვითარებაცაა აუცილებელი. ყველას კარგად გვესმის, რომ ეკონომიკური, სოციალური, განათლების დონით, საქართველო ვერა და ვერ უახლოვდება ევროპულ და არა მარტო ევროპულ განვთარებულ ქვეყნებს. ამისთვის კი საჭირო და აუცილებელიცაა მსგავსი პროექტების ხშირი განხორციელება. ასეთი ღონისძიების გატარებისათვის, რა თქმა უნდა, ბიუჯეტს გარკვეული თანხის გაღება მოუწევს, მაგრამ აუცილებელია ეს თანხა გამოყოს სახელმწიფომ, რადგან იგი ქვეყნის მომავალ განვითარებას და წინსვლას მოხმარდება.

მორალური მოძველების პრობლემის გადაჭრა დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული. ამ მიმართულებით ინვესტიციების როლი უაღრესად დიდია. ისეთი პატარა ეკონომიკის ქვეყნის ასაღორძინებლად, როგორც საქართველოა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შიდა ინვესტიციები. მაგრამ. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს უარი ვთქვათ უცხოურ ინვესტიციებზე.ამიტომ ხელისუფლებისათვის ეს საქმიანობა უნდა გახდეს ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი შემადგენელი ნაწილი. ამ კუთხით მთავრობაში შესამუშავებელია ადგილობრივი ინვესტიციების წამახალისებელი სტრატეგია, რათა ისინი საბოლოო ჯამში ზოგიერთ დარგში,სფეროში ცჭარბობდეს უცხოურ ინვესტიციებს. ყოველივე ეს გამომდინარეობს წარმოების სოციალური მიზნის ფილოსოფიის,სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან. ამასთან სასურველია ინვესტიციები უპირატესად წარიმართოს ინტელექტუალური კაპიტალის, ცოდნის განსავითარებლად. ცოდნის ჩამოყალიბების სფეროში მორალური მოძველების საკითხი პირველ რიგში იმიტომ არის გასათვალისწინებელი, რომ სწორედ აქ, საწყის ეტაპზე იწყება მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველება და შემდეგ იგი აშკარა გამოხატულებას პოულობს საწარმოებში ფუნქციონირებად ტექნიკასა და ტექნოლოგიაში. გამომდინარე აქედან, პრობლემის მოცვარება უნდა დავიწყოთ არა წარმოების სფეროში, არამედ იდეის, ცოდნის ფორმირების პროცესში.

ამრიგად, მორალური მოძველება, მათ შორის მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველება რომელიმე ერთი ქვეყნის პრობლემა არ არის. იგი არა მარტო საქართველოს, არამედ ბევრ განვითარებად თუ განვითარებულ ქვეყანასაც აწუხებს. ამიტომ საჭიროა ამ პრობლემის მოგვარებაზე ერთობლივი მუშაობა. ბუნებრივია, გლობალიზაციის პროცესი ამ საკითხის მოგვარებასაც გამოიწვევს, რადგან იგი, ამავე დროს უწინარეს ყოვლისა, ახალი გამოცდილების, ცოდნის გაზიარებასაც გულისხმობს, რაც მითუმეტეს განვითარებადი ქვეყნებისათვის სასიცოცხლოდ საჭირო და აუცილებელია.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. ა.სიჭინავა. ინვესტიციები - თეორია, ანალიზი, ორგზანიზაცია, მართვა - ლექციების კურსი. თბ., 2010.
2. რ.შენგელია, ჟ.წიკლაური, ნ.შენგელია. ინვესტიციები და მათი როლი ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნების განვითარებაში. თბ., 2013.
3. უ.სამადაშვილი, რ.შენგელია. თანამედროვე ეკონომიკა. თბ., 2013.
4. ჟურნალი " ბიზნეს-ინჟინერინგი" , თბ., 2013.
5. ჟურნალი "ეკონომიკა" - თბ., 2013.
6. ჟურნალი "ეკონომიკა და ბიზნესი" - თბ., 2013.